სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

გურჯაანის პრობაციის ოფისის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 2016 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით). აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. **დანართ #1**.

1.3 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%–ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.

1.6 ამ ინსტრუქციის 1.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7 ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს.

1.8 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.

1.9 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.12 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13 ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.20 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.21 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1.22 პრედენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას;

ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.23 ამ ინსტრუქციის 1.22 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, "გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ", „რ" და „ტ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;

გ)პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში.

1.25 იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.24 პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.26 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრედენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას;

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ

ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.27 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან ან ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.28 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.29 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.30 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.31 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1 **იურიდიული პირებისათვის:**

2.1.1.1 ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

2.1.1.2 ცნობა მომსახურე ბანკ(ებ)იდან კუთვნილ საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების არ არსებობის შესახებ.

2.1.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

2.1.2.1 პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ან/და გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობის ასლები;

2.1.2.2 ცნობა მომსახურე ბანკ(ებ)იდან კუთვნილ საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების არ არსებობის შესახებ.

2.1.3 **როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

(1) ხარჯთაღრიცხვის ფორმა ტექნიკური დოკუმენტაციის **დანართი #C1**-ის შესაბამისად.

(2) პრეტენდენტის შეთავაზება **დანართი #2**-ის მიხედვით.

(3) ინფორმაცია 2013 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 ივლისამდე პერიოდში განხორციელებული ანალოგიური ან/და მსგავსი (სარემონტო-სარეაბილიტაციო) სამუშაოების შესრულების შესახებ **დანართი #3**-ის მიხედვით.

2.2 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

2.3 პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს „წინადადების მიღება დაწყებულია“ სტატუსის მინიჭების შემდეგ.

2.4 ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს: ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში - არანაკლებ 160 კალენდარული დღით ტენდერისათვის სტატუსის „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების თარიღის შემდეგ.

2.5 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული).

2.6 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

(1) ხარჯთაღრიცხვის ფორმა ტექნიკური დოკუმენტაციის **დანართი #C1**-ის შესაბამისად.

(2) პრეტენდენტის შეთავაზება **დანართი #2**-ის მიხედვით.

(3) ინფორმაცია 2013 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 ივლისამდე პერიოდში განხორციელებული ანალოგიური ან/და მსგავსი (სარემონტო-სარეაბილიტაციო) სამუშაოების შესრულების შესახებ **დანართი #3**-ის მიხედვით.

2.7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

2.7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება ეტაპობრუვად, შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის - ფორმა #2-ს და ფორმა #3-ს, ასევე ”შემსყიდველის” მხრიდან ტექ. ზედამხედველისა და უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.7.2 შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა #2) შემდგომ, აღმოჩენილი დეფექტებისა ან/და ხარვეზების გამოსწორებისათვის „მიმწოდებელს“ განესაზღვრება გონივრული ვადა.

2.7.3 მითითებული დეფექტებისა ან/და ხარვეზების გამოსწორება „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

2.7.4 შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება განხორციელდება შესრულებული სამუშაოების სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის - ფორმა #2-ს და ფორმა #3-ს, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტის **(სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“)** დადებითი დასკვნის

საფუძველზე და „შემსყიდველის" მხრიდან უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.8 ანგარიშსწორების პირობები:

2.8.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

2.8.2 დაფინანსების წყარო: **2016 წლის საბიუჯეტო ასიგნებები.**

2.8.3 "მიმწოდებლის" მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას საავანსო ანგარიშსწორება არაუმეტეს **სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის ოდენობით,** გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი, **საავანსო თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის** (გაცემული საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების მიერ) საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა **30 (ოცდაათი)** კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.8.4 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (**ფორმა #2** და **ფორმა #3**) საფუძველზე, ეტაპობრივად.

2.8.5 **შუალედური ანგარიშსწორება** არაუმეტეს თვეში ერთისა, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (ფორმა #2, ფორმა #3-სა და შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის) საფუძველზე, საიდანაც ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების თითოეულ ეტაპზე, პროცენტული ოდენობის შესაბამისად, გამოქვითული იქნება ავანსად მიღებული თანხის შესაბამისი ოდენობა და შესრულებული სამუშაოების ღირებულების 15%-ი, საბოლოო ანგარიშსწორების მიზნით.

2.8.6 **საბოლოო ანგარიშსწორება** (ხელშეკრულების საერთო ღირებულების დაქვითული 15%-ის ფარგლებში) განხორციელდება სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის **(ფორმა #2, ფორმა #3, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი**) და დამოუკიდებელი ექსპერტის **(სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო")** დადებითი დასკვნის საფუძველზე.

2.8.7 დამოუკიდებელი ექსპერტის ხარჯები ჯამურად გათვალისწინებული უნდა იყოს „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადების ღირებულებაში.

2.8.8 ანგარიშსწორება იწარმოებს მითითებული (მოთხოვნილი) დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის** განმავლობაში.

2.8.9 დამოუკიდებელი ექსპერტის ხარჯები ჯამურად გათვალისწინებული უნდა იყოს "მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადების ღირებულებაში.

2.9 საგარანტიო ვადები

2.9.1 შესრულებულ სამუშაოებზე „მიმწოდებლის" მხრიდან უნდა გავრცელდეს საგარანტიო ვადა შემდეგი ოდენობით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან:

- *მოპირკეთების სამუშაოებზე - არანაკლებ 2 წელი;*
- *ელექტრო სამუშაებზე - არანაკლებ 5 წელი;*
- *გათბობის სისტემაზე - არანაკლებ 5 წელი.*
- *წყალსადენი კანალიზაციის სისტემა - არანაკლებ 3 წელი.*

2.9.2 თუ საგარანტიო პერიოდში გამოვლინდება დეფექტები ან/და ხარვეზები, „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველის" შეტყობინებიდან, გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი გამოსწორება.

2.10 სამუშაოების შესრულების პირობები და ვადები:

2.10.1 სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება უნდა მოხდეს **ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 40 (ორმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.**

2.10.2 ექსტერიერის დეტალები, ასევე მოსაპირკეთებელი მასალისა და ელექტრო ან/და მექანიკური აქსესუარების ფერი, ხარისხი და დიზაინი რომლებიც არ არის დაკონკრეტებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, მათი სავარაუდო ვარიენტები შეთანხმებული უნდა იქნეს „შემსყიდველთან".

2.11 ფასები:

2.11.1 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულება მოცემული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის, მათ შორის დამოუკიდებელი ექსპერტის - **სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"**-ს ხარჯები, რომელიც ჯამურად გათვალისწინებული უნდა იყოს „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადების ღირებულებაში, გადასახადის გათვალისწინებით.

2.11.2 **პრეტენდენტის მიერ ხარჯთაღრიცხვაში განგარიშებული უნდა იყოს „გაუთვალისწინებული ხარჯები" არანაკლებ 5%-ის ოდენობით.**

2.12 დამატებითი პირობა

2.12.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტს მოეთხოვება **ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება**, რისთვისაც შემსყიდველის მიერ განესაზღვრება არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღე. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება უნდა მოხდეს **სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სერთიფიცირებული აუდიტორის** მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის საფუძველზე. ამასთან, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება დაზუსტებას არ ექვემდებარება.

3. დამატებითი ინფორმაცია

3.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42.

3.2 საკონტაქტო პირი: ნინო გოგია, ტელ: (+995 32) 210 59 73, E-mail: probationagency@gmail.com.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის გიორგი ჩიფჩიურის სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42;

საიდენტიფიკაციო კოდი: 204 534 502;

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;

ბანკის კოდი: 220 101 222;

ანგ/ნომერი: 200 122 900;

(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ ---------- (მისამართი: ----------)

წარმოდგენილი ---------- სახით

საიდენტიფიკაციო კოდი:

საბანკო რეკვიზიტები:

ბანკის კოდი:

ა/ა:

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") – „შემსყიდველ" ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" ორგანიზაციამ „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 "შეუსრულებელი სამუშაო" - ნიშნავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს, რომელიც არ იქნა შესრულებული "მიმწოდებლის" მიერ.

1.7 "დეფექტური სამუშაო" - ნიშნავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს, რომელიც არასათანადოდ იქნა შესრულებული "მიმწოდებლის" მიერ და რომლის გამოსწორებაც იწვევს სხვა შესრულებული სამუშაოს ხელახლა შესრულებას.

1.8 "ხარვეზი" - ნიშნავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს, რომელიც არასათანადოდ იქნა შესრულებული "მიმწოდებლის" მიერ და რომლის გამოსწორებაც არ იწვევს სხვა შესრულებული სამუშაოს ხელახლა შესრულებას.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოაგდგენს **გურჯაანის (წმინდა ნინოს ქ.#17) პრობაციის ოფისის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების <u>შესრულება დანართი #__ შესაბამისად.</u>**

2.2 **CPV 45442180- სარემონტო სამუშაოები.**

3. ფასები და ანგარიშსწორება

3.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს: ---------- (თანხა სიტყვიერად) ლარს.

3.2 შესყიდვის ობიექტის დეტალური განფასება მოცემულია დანართში #___, ხარჯთაღრიცხვა.

3.3 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

3.4 ხელშეკრულების საერთო ფასი გამოსახულია ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

3.5 დაფინანსების წყარო: **2016 წლის საბიუჯეტო ასიგნებები.**

3.6 "მიმწოდებლის" მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას საავანსო ანგარიშსწორება არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების **30%**-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, საავანსო თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების მიერ) საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

3.7 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (**ფორმა #2** და **ფორმა #3**) საფუძველზე, ეტაპობრივად.

3.8 **შუალედური ანგარიშსწორება** არაუმეტეს თვეში ერთისა, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (ფორმა #2, ფორმა #3-სა და შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის) საფუძველზე, საიდანაც ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების თითოეულ ეტაპზე, პროცენტული ოდენობის შესაბამისად, გამოქვითული იქნება ავანსად მიღებული თანხის შესაბამისი ოდენობა და შესრულებული სამუშაოების ღირებულების 15%-ი, საბოლოო ანგარიშსწორების მიზნით.

3.9 **საბოლოო ანგარიშსწორება** (ხელშეკრულების საერთო ღირებულების დაქვითული 15%-ის ფარგლებში) განხორციელდება სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (**ფორმა #2, ფორმა #3, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი**) და დამოუკიდებელი ექსპერტის (**სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"**) დადებითი დასკვნის საფუძველზე.

3.10 დამოუკიდებელი ექსპერტის ხარჯები ჯამურად გათვალისწინებული უნდა იყოს „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადების ღირებულებაში.

3.11 ანგარიშსწორება იწარმოებს მითითებული (მოთხოვნილი) დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **<u>15 (თხუთმეტი) სამუშაო</u> <u>დღის</u>** განმავლობაში.

3.12 დამოუკიდებელი ექსპერტის ხარჯები ჯამურად გათვალისწინებული უნდა იყოს "მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადების ღირებულებაში.

3.13 ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

4. სამუშაოების შესრულების პირობები და ვადები:

4.1 სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება უნდა მოხდეს **<u>ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 40 (ორმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.</u>**

4.2 <u>ექსტერიერის დეტალები, ასევე მოსაპირკეთებელი მასალისა და ელექტრო ან/და მექანიკური აქსესუარების ფერი, ხარისხი და დიზაინი რომლებიც არ არის დაკონკრეტებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, მათი სავარაუდო ვარიენტები შეთანხმებული უნდა იქნეს „შემსყიდველთან".</u>

4.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან.

4.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია გაუწიოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო სამუშაოების შესრულება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება ეტაპობრუვად, შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის - ფორმა #2-ს და ფორმა #3-ს, ასევე "შემსყიდველის" მხრიდან ტექ. ზედამხედველისა და უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2 შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა #2) შემდგომ, აღმოჩენილი დეფექტებისა ან/და ხარვეზების გამოსწორებისათვის „მიმწოდებელს“ განესაზღვრება გონივრული ვადა.

5.3 მითითებული დეფექტებისა ან/და ხარვეზების გამოსწორება „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

5.4 შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება განხორციელდება შესრულებული სამუშაოების სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის - ფორმა #2-ს და ფორმა #3-ს, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტის **(სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“)** დადებითი დასკვნის საფუძველზე და „შემსყიდველის” მხრიდან უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6. საგარანტიო ვადები

6.1 შესრულებულ სამუშაოებზე „მიმწოდებლის“ მხრიდან უნდა გავრცელდეს საგარანტიო ვადა შემდეგი ოდენობით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან:

- *მოპირკეთების სამუშაოებზე - არანაკლებ 2 წელი;*
- *ელექტრო სამუშაებზე - არანაკლებ 5 წელი;*
- *გათბობის სისტემაზე - არანაკლებ 5 წელი.*
- *წყალსადენი კანალიზაციის სისტემა - არანაკლებ 5 წელი.*

6.2 თუ საგარანტიო პერიოდში გამოვლინდება დეფექტები ან/და ხარვეზები, „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველის“ შეტყობინებიდან, გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი გამოსწორება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ”შემსყიდველი” ინსპექტირების ჯგუფის ან/და ტექ. ზედამხედველის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებას და სამუშაოების მიღება-ჩაბარებას განახორციელებს „შემსყიდველის” უფლებამოსილი წარმომადგენლები.

7.2 ”მიმწოდებლის” მიერ შესასრულებელ ან უკვე შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება ”შემსყიდველის” შეხედულებისამებრ.

7.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

7.4 ”მიმწოდებელი” ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან/და ხარვეზის აღმოფხვრა/გამოსწორება.

7.5 ”შემსყიდველი” ”მიმწოდებელთან” ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში ”შემსყიდველს” გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

7.6 ”მიმწოდებელი” ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს დაიცავს შრომის უსაფრთხოების ნორმები წინააღმდეგ შემთხვევაში ”შემსყიდველი” უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

7.7 ხელშეკრულების შესრულების პირობების კონტროლის მიზნით ”შემსყიდველი” უფლებამოსილია გამოიყენოს სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებები.

7.8 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან ”შემსყიდველისათვის” პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით დადგენილი შემთხვევებისა

”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.

9.3 თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

9.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების **5%**-ის ოდენობით, ან

9.3.2 სამუშაოს დასრულებამდე ”მიმწოდებელს” დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,1**%-ის ოდენობით

9.4 თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს <u>ხელშეკრულების ღირებულების **5%**-ს ოდენობით</u>.

9.5 თუ 9.3.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **3%**-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი” ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს <u>ხელშეკრულების საერთო ღირებულების **5%**-ის ოდენობით.</u>

9.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.7 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

9.7.1 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.7.2 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

9.7.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის“ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

9.7.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.8 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად შესრულებული სამუსაოების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების

გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება „მიმწოდებლისათვის“ მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ელ. ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 უცხოელი „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს შესასრულებელი სამუშაობთან დაკავშირებულ ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15.2 ადგილობრივი „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 დეკემბრამდე.**

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან“ და ერთი პირი „შემსყიდველთან“).

17.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
17.5 დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
17.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	
_____	_____
გიორგი ჩიფჩიური	

დანართი #1

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:
* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

პრეტენდენტის შეთავაზება

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი: (თანამდებობა)	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:	
3.	ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ: (მითითებული უნდა იყოს საავანსო ანგარიშსწორების ოდენობა პროცენტულად)	
5.	ინფორმაცია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საგარანტიო ვადებისა და პირობების შესახებ:	
6.	მოკლე ინფორმაცია კომპანიის საერთო გამოცდილების შესახებ:	

პრეტენდენტის ხელმოწერა_____

ინფორმაცია 2013 წლის 1 იანვრიდან - 2016 წლის 1 ივლისამდე პერიოდში განხორციელებული ანალოგიური ან/და მსგავსი (სარემონტო-სარეაბილიტაციო) სამუშაოების შესრულების შესახებ

პრეტენდენტი: _____

#	დამკვეთის დასახელება	სამუშაოს დასახელება	ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით)	შესრულების ვადები
1				
2				
3				
.				
.				
.				
.				
#				